

სახალხო ფურცელი

საქართველოს
საზოგადოებრივი განათლების
სამსახური

გაზეთის № 3.1

დაგეგმვის № 54

29/11 კვირა, 7 ივნისი 1915 წ.



† მისი უმაღლესობა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე,
სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარე, პოეტი, რომელიც თავის თხზულებებს აწერდა „კ. რ“-ს.

მეზინაურული ლოში

ზღაპარი მაქს ნორდაუსი.

ოდესღაც შორს, აღმოსავლეთში, ბზის ქალაქში გადაჭიმულ საკუთარ ციხე-დარბაზში სცხოვრობდა ერთი მემამულე. მას ნადირობა საშინლად უყვარდა და ხშირად ნადირობდა ქურციკზე და გარეულ ცხენზე. მაგრამ ხშირ-ხშირად გარშემო ტყეში მსხვილი ნადირიც გაჩნდებოდა ხოლმე, როგორც დათვი, აფთარი, ლომი კი. მაშინ ჩვენი მონადირე ხომ ვეღარ ისვენებდა, ვიდრე ნადირს თავიდან არ მოცილებდა რა ის მხარე არ დამზვიდვებოდა; ან უნდა მოეკლა, ან იქიდან გაეძევებინა. ერთხელ იმ მიდამოებში კვლავ გაჩნდა რამდენიმე ლომი. გლეხებს მოსვენებას აღარ აძლევდნენ. სტაცებდნენ ხან ძროხას, ხან ცხვარს. გლეხები მემამულესთან მიდიოდნენ და ემუდარებოდნენ მათთვის რამე ეშველა. მემამულე მაშინვე სანადირო სამზადისს შეუდგა. ნაკვალევზე შეატყო, რომ საქმე ერთსა და ორთან არ ექმნებოდა და შესაფერი თადარიგიც დაიჭირა.

დიდი ხნის დევნის შემდეგ ერთ ღელეში მოიმწყვდიეს ვეება, გააფთრებული ბებერი ლომი, ძუ ლომი სამი ლეკვით და ერთიც მოზრდილი ხვადი ლომი, რომელიც ალბად ძმა ან მეგობარი იყო ოჯახის თავისა. ბებერმა ლომმა რომ დაინახა გასავალი აღარსაით იყო, მიუბრუნდა მეთლეს.

— წადი, უშველე თავს. სანამ კი ამ ადამიანთა ხროვას მე აქ შევიკავებ მერმე მეც დავაბწევ აქედან როგორმე თავს და გამოვეშურები. თუ ვინცილობა აქ დავიღუპო, მომიგონე ხოლმე და კარგად გამიზარდე შეილები, როგორც ნამდვილ ლომთ შეეფერება.

— მე შენთანა ვრჩები, უთხრა ბებერს ლომს ახალგაზრდა ლომმა და მარჯვედ ამოუდგა გვერდში.

— არა,— არა, უთხრა ბებერმა ლომმა, შენ სჯობს იმათ დაეხმარო, როცა გაიქცევიან, ამათთან ბრძოლა კი ბოლომდის მე დამითმე, სთქვა ეს, საშინელი ბრდღვინვით, გადახტა მონადირეების წინ და მკერდი მისცა მრავალს ისარსა და შუბს. ძაღლების ხროვა ყუფით მიესია ასტყდა ერთი ვაი-ვაგლახი, ამით ისარგებლა მისმა ოჯახმა და ღელეს მეორე მხრიდან გაქუსლა. ამ მხარეს მდგომარე ერთი-ორმა მონადირემ, რომელთა მოვალეობას ნადირის წამოგდება შეადგენდა, ლომები რომ დაინახეს, შიშით აქეთ-იქით გადახტნენ. ლომებმა კი დრო იხელთეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მთებისაკენ გაეშენენ, სადაც მათ შიში არ მოელოდათ. ბებერმა ლომმა

მძლავრი თათებით ანაზღაოთ მოიგერია ძაღლები, მაგრამ მრავალი ისარით განგმირული იქვე დაეცა. ერთხელ კიდევ დაიღრიალა, თითქოს უკანასკნელად სალამს აძლევდა თავისიანებს, რომელნიც ამ დროს უკვე შორს იყვნენ და სული განუტევა. მონადირეებმა რომ დაინახეს ლომი სისხლის გუბეში სტურავდა და საშიში აღარ იყო, მაშინვე დანარჩენებს გამოეკიდნენ და მთის წვეროზე წამოეწვივნენ. გაისმა კვლავ ყვირილი, საყვირის ხმა, ძაღლის ყეფა. ძუ ლომს და იმის თანამოგზავრს შეეძლოთ მტერს ადვილად გასხლტოდნენ ხელიდან, მაგრამ სამივე ლეკვი დაიღალა და მალ-მალ უკანა რჩებოდნენ. მონადირეები კი თანდათან უახლოვდებოდნენ. ისარი უკვე ახწევდა მათამდის. ლეკვები შიშით წკმუტუნებდნენ, მაგრამ დედა ამხნევებდა.

— წინ! ყოჩაღად! ხრინწიანი ხმით უმაგრებდა გულს ახალგაზრდა ლომი.

ძუ ლომმა რომ დაინახა საქმე ცუდად იყო, უთხრა თანამოგზავრს:

— არ მინდა რომ ჩემი ლეკვები ადამიანებს ჩაუცვივდნენ ხელში, და თან სიყვარულით ენა აუსვა სამივეს.— ჩვენ მათ უნდა მივეშველოთ, თორემ ვერ მოგვეყვებიან. ამასთანავე ორს ზურგში ჩაავლო კბილი, მესამეს კბილი მისმა მეგობარმა სტაცა და გაეშენენ წინ. ძუ ლომს მშობლიურმა სიყვარულმა ერთი-ორად უმატა ძალი და ეღვასავით მიჰქროდა. მაგრამ მისი თანამოგზავრი, რომელიც ლეკვების პირით ზიდვას არ იყო შეჩვეული, მალე მოიქანცა და ძუ ლომს ნელ-ნელა ჩამორჩა. მონადირეები კი უკვე ეწეოდნენ. მან თავისი თავი არჩია, გააგდო პირიდან ლეკვი და მარტოკა მოკურცხლა. მოვალეობის ასეთმა სულმდაბლურმა ცალატმა მას ვერ უშველა: რამდენიმე ისარი ერთად მოხვდა და იქვე სული გაანთხევინა.

პატარა ლომი რამდენიმეჯერ შეეცადა დედას გამოსდგომოდა, მაგრამ ამოდ. ერთ წუთს ძაღლები შემოეხვია ირგვლივ და იქვე გაგლეჯავდნენ, ამ დროს რომ პატრონი არ მისწრებოდა და არ გადაიჩინა. მან ხელი გადაუსვა პატარა ლომს, რომელიც ძლივს და ჰფეთქავდა და ტანს ილოკავდა, ჩასვა ტომარაში და ნიშანი მისცა ნადირობა გაეთავებინათ, რადგან ძუ ლომი შეჰქვლია უკვე შორს იყო და ჯერჯერობით კი ეს ორი მოკლული და ერთი ცოცხალი პატარა ლომი კმაროდა.

ძუ ლომმა რომ დაინახა აღარ მისდევდნენ, შეისვენა და მოუსვენრად დაუწყო ლოდინი ლეკვს, რომელიც მის მეგობარს მოჰ-

ოსმალეთის ლაზისგანი



ლაზები ვიცეში.



ლაზი ქიაზიმ-ბეი.



ვიცელი ბეგები.



ახალგაზდა ლაზები.

ყავდა. მაგრამ რაკი ის აღარა სჩანდა, თვითონ წავიდა საძებნელად და ერთ ალაგას წააწყდა მეგობრის უკვე გაცივებულს ლეშს, ლეკვი კი აღარსადა სჩანდა. მან ერთი საბრალოდ შეჭბღავლა და ნელ-ნელ წაფრატუნდა ლეკვებისაკენ. იმ ნადირობამ ხელად დააქვრივა ის, ამას გარდა ხელიდან გამოსტაცა მეგობარი და შვილი. ადვილი გადასაჯანი არ იყო. ღამე მისმა მრისხანებამ ტყის მცხოვრებთ შიშის ზარი დასცა და სულ განაბული უგდებდნენ ყურს მის გულსაკლავ ბღღვრიალს.

პატარა ლომი მემამულემ სახლში მიიყვანა. მთელი ციხე-დარბაზის მცხოვრებნი მას გარს შემოერტყა და ცნობისმოყვარეობით შეჭყურებდნენ. ლეკვი ძალზე ლამაზი იყო. დიდ, შინაურ კატის ტოლა, წმინდა ყვითელი ბალნით. მოქნილ კულზე შავი ქოჩოჩი ჰქონდა დაყრილი. პატარა ტყვე პირველად ყველას მტრულად ეკიდებოდა. ყველას ზედ ვარდებოდა, ჰკბენდა, ვინც კი მიეკარეოდა. მაგრამ მალე მოშინაურდა და ყველას მიეჩვია. მის ჰასაკში ადვილად ივიწყებენ და მალე ურიგდებიან ყოველნაირ მდგომარეობას. დედაც, ძმებიც მალე დაავიწყდა. დაავიწყდა ტყვეც, უდაბნოც, თავისუფალი ცხოვრებაც. ის მხოლოდ ადამიანებსა ჰხედავდა, რომელნიც მას უხვად აჭმევდნენ, ეალერსებოდნენ. სამაგიეროდ თვითონაც ნებას აძლევდა მოეალერსებინათ, ყველას მადლობის თვალით შეჭყურებდა და ხმელი ენით ხელს ულოკავდა. მალე ის ყველამ შეიყვარა: პატრონის ცოლის ოთახში რბილ ხალიჩაზე ეძინა, ეზოში ბავშვებს ეთა-

მაშებოდა და ცელქობდა, პატრონს სეირნობის დროს ძალღვივით უკან დასდევდა. მას „სამსონა“ დაარქვეს. თუ კი ვინმე დაუძახებდა ამ სახელს, ის მაშინვე იმისაკენ გაექანებოდა. თავის თავს „სამსონა“ ოჯახის წევრადა სთვლიდა. ციხე-დარბაზის ქალების ყურმოჭრილი ყმა იყო, თავისიანებადა სთვლიდა და ისე უყვარდა, როგორც კი შეეძლო ლომის გულს ჰყარებოდა. არ უყვარდათ იგი მხოლოდ შინაურ პირუტყვთ. ცხენები ფრუტუნობდნენ და ტლინკებს ესროდნენ, როდესაც ის თავლში თავს შეჰყობდა ან და შეეხებოდა მინდორში ან ეზოში, ძაღლები ყმუოდნენ და იღრინებოდნენ, ქათმები კაკანით და ფრთხილით გარბოდნენ მისგან. მას ყველა უყვარდა, ის კი ყველას ეჯავრებოდა. მხოლოდ თავიდანვე შინაური კატა დაუახლოვდა და მის გულის მოგებასა სცდილობდა. ლომს პატივით ეპყრობოდა და მოწიწებით ელაპარაკებოდა. როცა ლომი წამოიზარდა და ცოტა გონება მოიკრიბა, კატამ გადაკვრივით უწყო დარიგება ლომს, როგორ უნდა მოჭტეოდა მომავალში ციხის მცხოვრებთ.

— თქვენ არავითარი კავშირი არ უნდა დაიჭიროთ ცხენებთან და ძაღლებთან,—უთხრა ერთხელ ლომს კატამ.

— მერე რატომ?—შეეკათხა ლომი. განა ჩვენ ერთ ჰერს ქვეშ არა ვცხოვრობთ? განა ჩვენ ერთმანეთის ამხანაგ-მეგობრები არა ვართ?

— ოჰ, რას ამბობ, რას,—მიუგო კატამ.—თქვენ ხელმწიფის შვილი ბრძანდებით, ისინი კი მონები არიან. თქვენ ლომი ხართ, ისინი-



მომღერალი და ლოტბარი
სანდრო კავსაძე.

ნი კი ჯაგლაგი ცხენები და ძაღლები. თქვენ მათ ისე ექცევით, როგორც ტოლს, იმათ კი მადლობის მაგიერ სძულხართ და მზად არიან დაგახრჩონ, თუ კი მოახერხებენ.

— არა, კატავ, მე ეგ არა მჯერა! — უნებლიედ შეჰყვირა ლომმა.

— არა გჯერა, მაგრამ ეს ასეა, — არწმუნებდა კატა. ადამიანის წინაშეც თქვენ ხელმწიფის შვილის ღირსებაც უნდა დაიცვათ. ნუ ენდობით, თორემ სიყვარულს უმადურობით გადაგიხდიან...

— ჰა, კმარა, კმარა, კატუნია, — დაუყვირა ლომმა. ნებას არ მოგცემ ჩემს მეგობრებზე აგრე ილაპარაკო. მე მათ ვეკუთვნი, — ისინი მე მეკუთვნიან. ჩვენ ერთ სისხლისა და ხორცისანი ვართ. მე მათ შორის მუდმივი ალაგი მაქვს და ვერაფერი გავგყრის.

კატა მორჩილებით აიკუზა წელში და გულდაწყვეტილი, რომ ლომმა არა გაუგონა რა, წაქრუტუნდა...

„სამსონა“ გაიზარდა, მოღონიერდა, როგორც მის ბუნებას შეჰფეროდა. მაგრამ ამან გული სრულებითაც არ შეუცვალა და ის ისევ ისე ლაქუტით ექცეოდა პატრონსაც, მის ცოლსაც, ბავშვებსაც, თვის ცელქობის თანამოზიარეთ, და დანარჩენებსაც. მაგრამ მას ახლა სხვა თვალთ უყურებდნენ. ქალბატონი სულ მუდამ წუწუნებდა — ცუდს სუნს აყენებს ოთახშიო. რომ არ ეწყეინებინათ, უთხრეს ეხლა უკვე დიდი ხარ და შენთვის სირცხვილია ქალბატონის ოთახში წოლაო. ჯერ ძაღლებთან გაუკეთეს ბინა, მაგრამ რაკი ძაღლებმა გადასწყვიტეს ეგ ჩვენთვის უცხოა, საიდგანლაც მოთრეულიო და არ უნდოდან შეეშვათ, რომ ისინი დაემშვიდებინათ, ლომს ცალკე მიუჩინეს ბინა. აღარც ბავშვები თამაშობდნენ მასთან. თუმცა მათ „სამსონა“ ყველაფრის ნებას აძლევდა, ალერსით ლოკავდა მათ, კუდს უქნევდა, როდესაც მას სჩქმეტდნენ და მუჯღუგუნით უმასპინძლებოდნენ, მაგრამ მაინც ეშინოდან და ისე ვეღარ ენდობოდნენ. როცა „სამსონა“ ჩვეულებრივად დაუძახებდა ბავშვებს ეზოში სათამაშოდ, მოსამსახურის პირით შემოუთვლიდნენ — არა გვცალიან — ვსწავლობთო.

სტუმრები შიშით შეჰყურებდნენ თავისუფლად გაშვებულ ლომს და ხშირად უსაყვედურებდნენ მასპინძელს, რომ არაფერ ზომებს არ იღებდა. „ამისთანა ნადირთან ხუმრობა ადვილი საქმე ხომ არ არის. ადრე თუ გვიან თვის სისხლის მოყვარეობას გამოიჩენსო“, ეუბნებოდნენ მას. ბოლოს ისე გაუჭირეს საქმე, რომ დაუჯერა და გადასწყვიტა „სამსონა“ ჯაჭვით დაება. მოსამსახურეები რომ მივიდნენ „სამსონთან“ ყელზე ჯაჭვის შესაბმელად, მან ისეთი დაიღრიალა, რომ ციებცხელება მოჰგვარა. მოსამსახურეებმა ეს პატრონს მოახსენეს. პატრონი თვითონ მივიდა ეზოში „სამსონთან“ და უთხრა.

— რას შერები, „სამსონ“, რატომ არ გინდა ამ ჯაჭვით დაგამშვენო?

— მერმე რისთვის? რაზე? ეკითხებოდა ლომი. რა დავაშავე ისეთი, რომ ასე მსჯიო?

— ეს აბა რა დასჯაა, მიუგო პატრონმა და ლაპარაკში ახოვან, ფაფარ დაყრილ კისერზე სიცილით მიძიმე და მსხვილი ჯაჭვი გადაავდო. ეს წარჩინების ნიშანია, — დაუმატა მან. შენ ეხლა დღისით ციხე-დარბაზს უყარაულებ, ღამე თავისუფალი იქნება...

„სამსონამ“ თავი ძირს დახარა და პატრონის ნებას უსიტყვოდ დამორჩილდა. ის ეხლა უკვე ტყვე იყო, რომელსაც დასცინოდა, ყველა ზიზღით უყურებდა, ვინც კი ციხე-დარბაზში იყო. ცხენები უფრო აყრიდნენ ტლინკებს, როცა გვერდით გაუვლიდნენ ხოლმე, ძაღლები ჰყევდნენ და მეტად უზრდელად ექცეოდნენ. ამასთანავე ახლოს მიდიოდნენ, მაგრამ მის ბრწყალთა სამფლობელოში ფეხს ვერა სდგამდნენ. ქათმებიც კი მის ცხვრის წინ ქექდნენ ნაგავს და კაკანებდნენ. „სამსონა“ ამას ყურადღებას არ აქცევდა. პირიქით ყველას ამართლებდა.

— ცხენები წიხლს მაყრიან, მაგრამ ეს ხომ მათი ხელობაა, ამბობდა თავისთვის ის, ძაღლების საქმეა უზრდელად მოპყრობა, ქათმები კი, ჩემს ცხვრის წინ რომ ჰქექენ ნაგავს, მით თავიანთ გულუბრყვილობას ამტკიცებენო.

ღამე ლომს ჯაჭვიდან უშვებდნენ. იგი ფხიზელი დარაჯივით დილამდე გარს უვლიდა ციხე-დარბაზს. როცა მთვარიან ღამეს კედელზე გამაჩნდებოდა იმის დიდებული აჩრდილი, ან და ბნელ ღამეს გაისმოდა იმისი ძლიერი ბღღვრიალი, ვერც ერთი ბოროტმომქმედი ვერ გაეკარებოდა ახლოს.

ნადირობის დროსაც უშვებდა ხოლმე „სამსონას“ ჯაჭვიდან პატრონი და თან მიჰყავდა. „სამსონი“ უჭერდა მას გარეულ ცხენებს, ანტილოპებს. დათევებს, დაჰქონდა პირით სანადირო ჩანთა და ათასგვარ საქმეს აკეთებდა, რომლისთვისაც ოცამდე ყოჩალი მონადირე იყო საჭირო. როცა ნადირობა გათავებდებოდა „სამსონა“ მორჩილებით ჯაჭვს გაიკეთებდა ყელზე, ჩაილოკდა გასისხლიანებულ თათებს და გულში უხაროდა, რომ კიდევ შეეძლო პატრონისათვის სარგებლობა მოეტანა.

აქ ისევ მივიდოდა ხოლმე კატა და ყურში ჩასჩურჩულებდა:

— ბატონიშვილო! ხომ ხედავთ ეხლა როგორ გეპყრობიან? ასეთი დამცირება თქვენ არ უნდა მოითმინოთ.

— დამცირება?! განა ეს დამცირებაა, რომ ყელზე საპატიო ჯაჭვი ჩამომკიდეს, როგორც ციხე-დარბაზის საუკეთესო დამამშვენებელს და შესავეალში დამაყენეს?!

— ეჰ, ბატონიშვილო, თქვენ ეგ არ უნდა დაუჯეროთ! გირჩევთ ნადირობის დროს ისარბებლეთ თავისუფლებით! დარჩით ტყეში! მოიგონეთ, რომ იქ არის თქვენი სამშობლო. თქვენი თავის ბატონ-პატრონი იქ მხოლოდ თქვენ იქნებით, — უჩიჩინებდა კატა.

ამ სიტყვებზე ლომი მოშორდა და შეუტია.

— ამის შემდეგ კრინტი აღარ დასძრა, კრინტი, გესმის?! თორემ მწარედ მოგიგრებს კისერს. ჩემი სამშობლო აქ არის, ციხე-დარბაზში. მე ჩემი პატრონის ნათესავი ვარ, ოჯახის შვილი და არ მიინდა შენს უბედობას ყური დაუვუდო.

* *

დედას კი შვილი არასოდეს არ დაჰვიწყებია. რაც იმისი ლეკვი ადამიანს ჩაუვარდა ტყვედ, ერთი წუთი არ მოუსვენია, დარღვარაში გაატარა დრო. მაგრამ იმედს არა ჰკარგავდა, რომ ოდესმე შვილის ამბავს გაიგებდა. მალე ტყეში და უდაბნოში ხმა გავარდა ნადირთა შორის — ციხე-დარბაზის პატრონი ნადირობის დროს ერთ ლომს იშველიებს ხოლმე და მიუხედავად კანონისა და ჩვეულებისა ეს ლომი ტყე-უდაბნოს შვილთ იჭერს და ბატონობს, როგორც ოცი კაცი ვერ იბატონებსო. როდესაც ამ ხმამ დედის ყურამდე მიახწია, სიხარულით ცას დაეწია, მიუხედავად იმისა, რომ ამბის მიმტანნი მაიმუნები, ფარშავანები და ქურციკნი ძალზე იყენენ დამარებული. დედობრივმა გულმა უგრძნო, რომ ის მონადირე ლომი იმისი დაკარგული შვილი იყო. მან ერთ-ერთი შვილი გაგზავნა და-



პრაპორ. მიხეილ ავალიშვილი (მოკლულია).



პოდპორ. შალვა ზედგინიძე (დაჭრილია და უკვალოდ დაიკარგა).

საზვერად. თან დაბარა—იქნება როგორმე დაუახლოვდე ძმას და ტყეში დაბრუნებაზე დაიყოლიო.

ლომმა ბნელ ღამეში ხელად გაიბრინა უდაბნო, ტყე, მთები, მიიპარა ბზის ჭალაში, ფრთხილად მივიდა ციხე-დარბაზის კედელთან და ის იყო უნდა გადამხტარიყო, რომ შიგნიდან ვილაცის მგრავინაეი ხმა მოისმა.

— რომელი ხარ მანდ? ამასთანავე დაინახა თავის წინ ბნელაში ორი ცეცხლივით ბღღვრიალა თვალი. ეს ხმა ყოველ ცოცხალ არსებას შიშის ზარს დასცემდა, მაგრამ მოციქულს ლომს პირიქით სიხარულით გული აუტოკდა—მან ხმა იცნო.

— ძმობილო,—გასძახა მან პასუხად, ჩამოდი ქვემოდ თუ თავისუფალი ხარ, თუ არა და მე ამოვალ შენთან და გაგახარებ!..

— რასაკვირველია თავისუფალი ვარ, მიუგო კედელზე ამყად მდგომმა „სამსონამ“ მაგრამ შენ ვინა ხარ?

— მე ლომი ვარ, როგორც შენ. არა, ეს ცოტაა, მე შენი ძმა ვარ, შენი სისხლი და ხორცი. მოვედი, რომ დედასთან წაგიყვანო—შენ ჯერ პატარა იყავი, რომ შენი თავი მას ადამიანმა მოსტაცა და დღემდე ის შენზედა გლოვობს.

— სკრუობ,—გადმოჰყვირა კედლიდან „სამსონამ“. მე ლომი კი არა აქ მოდგმითი მცხოვრები ვარ. ჩემი ძმები—ჩემი პატრონის შვილები არიან, სხვა ძმები მე არა მყავს. დაილუპე აქედან, თორემ ავი დღე დაგადგება.

ამან მოციქული ლომი გააწიწმბა.

— უნამუსო!—შეჰყვირა ქვემოდან. ადამიანის მონავ! შენ აღარ გიდგია ლომური სული. კიდევ გიმეორებ, გინდა თუ არა ჩვენთან დაბრუნება, თუ სამუდამოდ განგდევნოთ ჩვენი ოჯახიდან?!

— დაილუპე აქედან, თუ სიცოცხლე არ მოგჭარბებია!—საშინლად დაიღრიალა „სამსონამ“. მისი ხმა გუგუნით მოედო არე-მარეს. ყველა ფეხზე დადგა, ძაღლებმა წკაფწკაფი ასტეხეს, ოთახში იარაღის ჩხარუნი გაისმა. კარი გაიღო. გარედ მდგომმა ლომმა ხმაურობას ყური მოჰკრა და გაცლა არჩია. მალე უკანვე მიჰქროდა უდაბნოდ, ტყეში, ღრეში, დედისაკენ, რომ ეუწყებინა—მოციქულობამ უნაყოფოდ ჩამიარაო. ძუ ლომი აღელვებით უგდებდა ყურს.

— ვიცი, რომ ჩემი შვილი ცოცხალია, მეტი არა მინდა რა. გასაკვირველი არ არის თუ ის ჩვენ გვერიდება. ადამიანის ვერაგობამ მოსწამლა იმისი ახალგაზრდა სული, მაგრამ არა მგონია ძნელი იყვეს მასში სისხლის ხმის გაღვიძება. მე თვითონ წავალ და მოველაპარაკები. აბა ნახავთ როგორ ხელად მოგიყვანთ თქვენს ძმას. ნახავთ, როგორ გაეხარდება თავისიანების პოვნა.

ძუ ლომმა როგორც იქნა დააღამა. ჩამოხნულდა თუ არა, ციხე-დარბაზისაკენ გასწია. მას უკან შორიახლოს მისდევდა ორი შვილი და რამდენიმე მეგობარი და მეზობელი, რათა დახმარებოდნენ, თუ საჭირო იქნებოდა. „სამსონა“ იმ ღამეს ჩვეულებრივზე უფრო ფრთხილად იყო. ამიტომ შორიდანვე შეამჩნია ძუ ლომი და სანამ ის კედელს მოუახლოვდებოდა, დაუყვირა: შესდგე! ამ ხმის გაგონებაზე ძუ ლომს სიხარულისაგან გული აუტოკდა. შვილის ხმაში მოკლული ქმრის ხმა იცნო.

— შვილო, დედა მოგივიდა სახლში წასაყვანად,—შესძახა ქვემოდან ძუ ლომმა. მოდი, გენაცვალე, მოდი, შვილო ჩემთან! მოდი ერთი გადაგვხვიო!

— სტყუი, სტყუი!—გადმოსძახა მტკიცე ხმით ლომმა. მე შენ არც კი გიცნობ. მე ადამიანთა ოჯახიდანა ვარ და შენთანა და შენ მზგავსებთან საერთო არა მაქვს რა. იცოდე, შენ რომ ჭალი არა ჰყოფილიყავი, ჩემს შეურაცხყოფას აგრე არ შეგარჩენდი.

— ერთი უყურე და! დედას აგრე უნდა ელაპარაკო, დედას, რომელიც შენთვის დღემდე ცრემლსა ღვრის?!..

— ეშმაკი და ქაჯი იყვეს შენი შვილი, მე რა შენი შვილი ვარ!—მიუგო „სამსონამ“.

— დაძიდგეს თვალები, გაგონილა?!—დაიკვნესა ძუ ლომმა. შენ შენს სისხლს უარყობ, შენი ტომი, გვარეულობა დაგვიწყნია. შენ შეურაცხყოფ შენი დიდებული მამის ხსოვნას, რომელმაც შენთვის თავი გასწირა! შენ უარყობ შენს მშობელს. ემსახურები ადამიანს, რომელმაც მოჰკლა მამაშენი, რომელიც შენი დაუძინებელი მტერია!..

ძუ ლომმა დაინახა რომ იმედი გაუტრუვდა და მწარედ დაძმარებული და გულმოკლული უკანვე გამობრუნდა.

მეორე დღეს, როცა პატრონი ჩვეულებრივად „სამსონას“, ჯაჭვზე აბამდა, ერთი მაგრა შეუკურთხა და უთხრა.

— რა ეშმაკები შეგჯიდა შე ოხერო, რომ ორი ღამეა მოსვენებას აღარ იძლევი და ერთ აურზაურსა სტებ. გულები დაგვიხეთქე ერთიან ყველას!

— მაპატიე, ბატონო, მიუგო „სამსონა“ მორჩილებით. აქ ახლო-მახლოს ლომები დადიან და ცოტა უფრო ფეხზლად უნდა ვიყვე.

— ლომები? შეეკითხა პატრონი ეჭვიანად და „სამსონას“ თვალებში შეხედა.

— მართალს გეუბნები, ბატონო,—უხრა ლომმა. გირჩევ ნადირობა გამართო, რომ რაც შეიძლება მალე ამოავდო იმ ავაზაკთა ნატამალი! პატრონი გარედ გამოვიდა, ახლო-მახლოს მიიარ-მოიარა და ბლომდა ნახა ლომების ნაკვალევი. მაშინვე მოიხმო მეზობლები. მათ არ დაახანეს, ხელად თავიანთ ძაღლებით მის გვერდით გაჩნდნენ და ციხე-დარბაზიდან ერთად, ღრიანცელით და ძაღლის ყეფით გავიდნენ სანადიროდ.

„სამსონა“ მოუთმენლად მოელოდა როდის აუშვებდნენ იმასაც ჯაჭვიდან და პატრონი რომ ახლოსა ჰნახა, ჰკითხა: მე რალას მიშვრები? მე კი არ მიყუყვარ სანადიროდ?

— დღეს სანადიროდ ლომებზე მივლივართ,—მიუგო პატრონმა.

— სწორედ ამიტომ მინდა მეც წამოსვლა...

— ჰო, მაგრამ ისინი ხომ შენები არიან, ვაი თუ შენთვის არ იყვეს სასიამოვნო...

„სამსონას“ ეს სიტყვები ეწყინა.

— ჩემები?! განა მაგას მოველოდი შენგან?! განა მე შენ უფრო არ გეკუთვნი? განა მე რამე საერთო მაქვს იმ ავაზაკთა ბრბოსთან? გთხოვ თან წამიყვანე. ამაზე უარი არ უნდა მითხრა!

— კარგი, რახან აგრე გინდა რა!—წაიბურტყუნა პატრონმა და ჯაჭვი ყელიდან შემოხსნა. „სამსონამ“ თავი რომ თავისუფლად იგრძნო, ერთი გადახტომით გაჩნდა კარებთან და მონადირეებს წინ გაუძღვა. ის დიდხანს მისდევდა უდაბნოში ნაკვალევს, სანამ ლომებს არ წააწყდა. რომ დაინახა, მთელი ხროვა ლომებისა გარბოდა, ძველებური დრო გაახსენდა, გამხეცებული გადაეშვა წინ და მალე მიეფარა ძაღლებისა და მონადირეების თვალადან. მალე მარტოდ-მარტო წამოეწია მათ და პირდაღებული და საშინელი მღღვრიალით, როგორც ისარი, პირდაპირ ხროვაში შევარდა. გაბოროტებული ლომები მაშინვე გარსშემოეხვიენენ, მძლავრი ტოტებით ძირს დასცეს და გაუსვენეს კბილი თუ ბრჭყალი.

— სიკვდილი მოლაღატეს... ყვიროდნენ იმისი ძმები, რომელნიც სხვაზე უფრო ძლიერ იყვნენ „სამსონაზე“ სისხლ-ამღვრეულნი. მაგრამ ვიდრე დიდ ვნებას მიაყენებდნენ რამეს, „სამსონას“ დედა მიექომაგა და დანარჩენებს შეჰყვირა:—ხელი, ხელი! შორს! „სამსონა“ დასისხლიანებული და შერცხვნილი ეგდო მიწაზე. მას მიუახლოვდა დედა და უთხრა.

— გასწი, წადი ისევ შენ ბატონებთან, რახან მათთან ჰპოვე ბედნიერება“. დღეს შენ მეორედ მომიკვიდი! გასწი, დაილუპე მალე! ზედ აღარ შეუხედი, გამოტრიალდა უკან და გაექანა წინ. მას გაჰყვნენ დანარჩენებიც და ყველანი ხელად მთებში მიიმაღლნენ. პატარა ხანს უკან მოცივიდნენ ძაღლებიც და თავს წაადგნენ „სამსონას“. არ ვიცი, მეტად გატაცებულნი იყვნენ დევნით და იმიტომ ვერ იცნეს თუ განგებ ქნეს ეს, გააფთრებით მისცივიდნენ და გასწი-გაწო-წიეს. ბრძოლით მოქანცულმა ლომმა თვალის დახამხამება ვერც კი მოასწრო, ძაღლები ზოგი აქეთ ეკიდა, ზოგი იქით, ზოგი კუდზე, ტუჩზე, ყურზე, ფაფარზე!.. მან ის ლა მოასწრო, რომ ერთი შეჰბლაგულა და მოთეთქეილი და ძაღლებისაგან დასისხლიანებული მიწაზე გაიშოტა. დედამ შორიდან მოჰკრა ყური შვილის უკანასკნელს ყვირილს და კისრის მტვრევით გაექანა მისკენ საშველად. მაგრამ გვიან და იყო. მან შვილს ვეღარ უშველა, ხოლო მისი ხვედრის თანამოზიარე გახდა—შვილის გვერდით ჰპოვა სიკვდილი. ციხე-დარბაზის პატრონი რომ მოვიდა, ორივე ლომი უკვე მკვდარი ნახა. მან მხოლოდ ძაღლები გარეკა, რომ ლომების ძვირფასი ტყავი არ გაეფუჭებინათ. ამ ტყავების მან შემდეგში ფეხსაფენი გააკეთებინა. როცა სტუმრები ეწვეოდნენ, მემამულე ამყად მიუთითებდა ხოლმე ტყავებზე და მოუყვებოდა ლომების ამბავს. ზოგი მათგანი მოკვალ ნადირობის დროს, ზოგი, თუმცა ძალიან სახიფათო იყო, ცოცხალი დამიქვრია და ჩემის ხელით დამიბავს ჯაჭვზეო.

მსმენელთ უკვირდათ ასეთი მამაცობა და იმის ქება შორს გაჰქონდათ.

სანგანიძე.

